საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №5
2026 წლის 29 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №53 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №53 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 25/04/2018, 140030000.22.034.016745) დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მთავარი სამმართველო:

ზ.ა) საორგანიზაციო სამმართველო:

ზ.ა.ა) სამეურნეო-ტექნიკური მომსახურების ჯგუფი;

ზ.ა.ბ) სამორიგეო განყოფილება.

ზ.ბ) სახაზო-საპატრულო სამმართველო (ქალაქი ზუგდიდი):

ზ.ბ.ა) I განყოფილება;

ზ.ბ.ბ) II განყოფილება;

ზ.ბ.გ) III განყოფილება.

ზ.გ) სახაზო-საპატრულო სამსახური (მაგისტრალი):

ზ.გ.ა) I განყოფილება;

ზ.გ.ბ) II განყოფილება;

ზ.გ.გ) III განყოფილება.

ზ.დ) ფოთის საქალაქო სამსახური:

ზ.დ.ა) I განყოფილება;

ზ.დ.ბ) II განყოფილება;

ზ.დ.გ) III განყოფილება.

ზ.ე) ერთიანი მომსახურების ცენტრი (განყოფილება).“.

მუხლი 2
ეს გრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 30 იანვრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**